ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 295

23 ივლისი
"___"_____ 2021 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილისერვის ჯგუფი"-ს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 68-ე მუხლი პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" 2019 წლის 6 მარტს გაფორმებულ ქვესასესხო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 ივლისის №21.933.1064 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, 2019 წლის 6 მარტს გაფორმებულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესესხის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის განხორციელების თაობაზე „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" 2019 წლის 6 მარტს გაფორმებულ ქვესასესხო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 ივლისის №21.933.1064 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე